ფილიფადი მეოთხე. № 16. 27 აპრილი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მოწერილნდის ქუჩაზე, ბიოეგის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გარეულებად მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.



«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით ჯ გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევრის წლისა . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . « 15 კ.

თუ საჭიროებაა მოითხოვეს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

საძიებელი: I. ტფილისი 26 აპრილს.—II. საქართველოს მატიანე: («ივერიის» კორრესპონდენტები). გორიდან, ქუთაისიდან, ზაქათალის მაზრიდან, სამეგრელოდან, კახეთ უბასტეტიდან.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა.—IV. სასამართლოს მატიანე, ზასულიხის ქალის საქმე (შემდეგი).—საქმე ანდრეევსკის ქალის მოგვლისა (შემდეგი).—V. სისხლის მოზვენებაზედ. მოთხრობა (შემდეგი).

ტფილისი 26 აპრილს.

ჩვენ რამდენჯერმე გამოგვითქვამს, რომ უოველგვე საკეთილოდ დაწყობილი და განზრახული საქმე ჭირად გადაქცევა ხოლმე ჩვენს სალხს, ნამეტნავად გლეხობასა, იმიტომ-რომ თავადი და აზნაური ისე მალე და ადვილად არ გაიბამს ხოლმე თავს მარჯვე მებადურის ბადეში. თავადი თუ აზნაური უფრო მისვედრილია, უფრო სალხში გამოსულია, და ამის გამო უფრო მეტი ლონისძიება აქვს არამც თუ ხმა ამოიღოს, არამედ მიაწვდინოს კიდეც იქამდე, სადამდინაც ჯერ არს. ამის გამო მებადურები ამ წყობის სალხს ერიდებიან და კეთილად განზრახულს საქმეს ამათ ისე ძმრად არ ამოადენენ ხოლმე, როგორც უოველთვის უვიცს, მიუმხვდარს, უენოს, მიწასთან გასწორებულს გლეხობას. რა არის ამის მიზეზი და სად არის ამისი წამალი? უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ გულ გრილები ვარო სხვის უბედურების დანახვაზედ; სხვისი ჭირი ჩვენს საკუთარ ჭირად არ მიგვიხნია; დავიწყებული გვაქვს ურთიერთობის კავშირი, იმასა ვსტენენ,—მე ხომ არარა, ვიძახით და ამით ვანუგეშებთ ჩვენს გაქსუებულს თავსა. ის კი ალარ გვაგონდება რომ ხვალ შეიძლება ეს დღე მეც დამადგეს და მეშველი არ შეეოლება. თუ სალხს თვისი უფლება და მოვალეობა კარგად აქვს აწონილი და ცნობილი, თუ ამასთან ხორცსისხლში გამჯდარი აქვს, რომ ჩემის მეზობლის უფლების დარღვევა ჩემის უფლების დარღვევასაც მოასწავებს, მაშინ ნავარდი მებადურთა შეუძლებელია, მაშინ ალმა-ცნობილი ბირდალმა არ დაიფარცხება; მაშინ კეთილად განზრახული საქმე შნამთ არ ამოგვედინება ერთისა და ორის ბოროტ-მოქმედის კაცისაგან, მაშინ თვით ბოროტ-მომქმედნი ესეთის გამბედაობით და მსნეობით ასპარეზზედაც არ გამოვლენ; ვეღარ წაქეზდებიან იმით, რომ ეს უღონოა და ხმას არ ამოიღებსო, ამის გამო შემიძლიან ვითარცა-ოგორ რამდენიც კი მინდა; ვეღარ წაქეზდებიან თვითეულის კაცის უღონობით, იმიტომ-რომ თვითეული დამყარებული იქნება სხვებზედ, ყველაზედ; ზურგი მაგარი ექმნება. მიზეზი კეთილის ტუდად ახდენისა ჩვენი გულ-გრილობა და განთვითეულება არის, წამალი კიდევ ამ მიზეზის მოსპობისათვის ურთიერთთან კავშირია, ურთიერთისათვის გულმტკივნეულობაა, ურთი-ერთის გამოსარჩლებაა. მაშინ ვერა მოხელე კაცი კანონს ვერ დაგვირღვევს, მართალს ტუოილის თქვებს ვერ გამოაბამს, თეთრს შავად ვერ შეგვიცვლის, სიკეთეს ჭირად ვერ გადაგვიქცევს. ეს ოოველი წარმოგვთქმეინა ერთმა გარემოებამ, რომელის ჭორი და მართალი ტფილისში კარგა ხანია ისმის.

კახეთში შემოუღიათ უწინდელი „სელსკის ნაჩალნიკობა.“ ვიდრე ეხლანდელზედ ვიტყოდეთ რასმეს, საჭიროა მოვიხსენიოთ უწინ ეს სელსკის ნაჩალნიკობა რაში მდგომარეობდა. რადგანაც კახეთში დაუწესარებელი შიში იყო ლეკთაგან, და რადგანაც მთავრობას ოველგან სელი ვერ მიუწვდებოდა სალხის დასათარავად და არც იმოდენა ჯარი ჰყვანდა, რომ ოოველი საშიშარი ადგილები გაემაგრებინა, ამისგამო სოფლების დაცვა მინდობილი ჰქონდათ თვით სოფლელებსა. ღამის ყარაულების გამგეობა, მდევრად გასვლა, ზოგიერთჯერ გზების შეკვრაც

თვით სოფელზედ იყო მიგდებული. რასაკვირველია, ამას მოთავეც უნდოდა. მოთავედ ინიშნებოდა სოფლმე ერთი კაცი სოფელში მცხოვრები თავადი, ან აზნაურიშვილი უკეთესი. იმისი მოვალეობა იყო მოეკვლა სოფლისათვის გაჭირვების დროს. შიშიანობის დროს და ერთობ სამხედრო საქმისათვის მას ემორჩილებოდა ნაცვალი, გზირი და სხვა მოხელე სოფლისა. თვითეულს დიდს სოფელს ჰყავდა ცალკედ ერთი ამისთანა მოთავე, რომელსაც „სელსკი ნაჩალნიკს“ უწოდენ. ამას სხვა არავერი უფლება არ ჰქონია არც სოფელზედ და არც მის მცხოვრებლებზედ, ამისგამოც ამათ, თუნდ რომ ჭსდომებოდათ ვერ შეეძლოთ რაიმე ბოროტ-მოქმედებით შეეწუხებინათ ხალხი. თვითონ სოფელიც ისე უფერებდა სელსკის ნაჩალნიკს, როგორც გამგეს შიშიანობის და გაჭირვების დროს.

ესლაც, შარშანდელის ლეკთა არეულობის გამო, კახეთში დაუწესებიათ „სელსკის ნაჩალნიკები,“ რასაკვირველია კეთილის განზრახვითა და ხალხის საკეთილოდ. მაგრამ მათი უფლება ისე მარტივად არ განუსაზღვრავთ, როგორც უწინ იყო: ვიდრე გარედამ მტერი მოვა, შინაური მტერი აუჩენიათ. ბირველი რომ ერთის სოფლის მაგიერად ჩაუბარებიათ ზოგან ოც-ოცი სოფელი. ამას, რასაკვირველია, გაწვდენა უნდა. აქა და გაწვდენა უნდა, ესლანდელს სელსკის ნაჩალნიკებს აუღიათ და თვითო დიდის სოფლიდამ ორ-ორი კაცი ცხენოსანი გამოუწვევიათ და ორ-ორი ქვეითი და წვრილის სოფლებიდამ თითო ცხენოსანი და თვითო ქვეითი. ეს ამოდენა ხალხი ზოგი შინა ჰყავთ თურმე და თავის საკუთარს საქმეში სულს ანთმევენ მუშობით და ზოგი კიდევ დათხოვნილნი ჰყავთ და ფული შეუწერიათ. ესე მოუწევიათ საქმე და იქნება გულში იძახიან: აი გაწდომაც ეს არის. ეს, ბატონებო, გაწდომა კი არ არის, წაცდომაა. ჯერ კახეთში, ღვთის მადლით, არავერი ამბავია და ამოდენა ხალხის მოცდენა,—რა სასეირო. თუნდაც საჭირო იყოს ამოდენა ხალხი, სელსკის ნაჩალნიკების გუთანზედ და ვენახებში სამუშაოდ რა ხელი აქვსთ? ამბობენ, ამაზედ საბიერიც შეუტანია ხალხს თელავის მაზრის უფროსთან და ჯერ აქამომდე არავითარი განკარგულება არ მოუსდენიათ იმ საბიერის გამო. აი მრავალთა შორის ერთი იმისთანა მაგალითი, რომ კეთილად განზრახული საქმე ჭირად გაუხდება ხოლმე უბედურს გლეხსა. აქაც კი მოუგონიათ მის კეთილმოფელთ ხერხი, რომ გამორჩნენ რასმეს; საქმე სიკვდილ-სიცოცხლეზე მივარდნილია და აქაც კი უდიერობა ჩვენი იქამდე მიხწეულა, რომ ხალხის ოფლი და ტვინი ვწოვოთო. ამას ვხედავთ და ხმას არ ვიღებთ!..

ეს კეთილად განზრახული საქმე რომ ხალხის ჭირად გამხდარა, ამისი მიზეზი ჩვენი საკუთარი უკაცურობაა და ისიც რომ კახეთის მმართველთ არამც თუ ბიგიანად მოუწევიათ ეს საქმე, რომელსაც უწინ სარგებლობა მოჰქონდა ცოტად თუ ბევრად, არამედ გაუფუჭებიათ, შეუშლიათ მისი აზრი, მისი მარტივი მოწყობილება და სელსკის ნაჩალნიკების კერძად გაუყიდიათ. მარტო ერთი სახელი სელსკის ნაჩალნიკისა არ იხსნის კახეთს შიშისაგან. საქმე მოწყობაშია, მის უფლების განსაზღვრაში და აგებულებაში. თუ ისე დარჩება, როგორც დღეს არის, გლეხს ურჩევნია ერთხელ წახდეს ლეკისაგან, ვიდრე ბევრჯელ სელსკის ნაჩალნიკისაგან.

საქართველოს მატიანე

ბოლი, (იგერიის კორრეს.) ძველად, ჩემო მკითხველო, ქრისტეს წინად საბერძნეთში სცხოვრებდა ერთი გასაოცარი თეოლოგოსი დიოდენი მოწაფე სახელოვანის სოკრატისა. იყო ეს დიოდენი ერთი უწმაწურის ცხოვრებისა, ეჯავრებოდა კაცთ საზოგადოება; ის დარწმუნებული იყო, რომ ხალხი ისე გარყვნილია, ისე დაცემულია ზნით, ოფლა-ქცევით, რომ იმასთან ცხოვრება არა ღირსო; ერთი ბოჭკა ეშოვა და იმაში ჩაცხოვრებდა. რას არ აქნევინებს კაცთ გარყვნილობა ადამიანს! რა უფსკრულზედ არ მიაყენებს! ერთხელ დღისით აენთო ფანარი ამ საოცარს დიოდენს და ისე დადიოდა თურმე, თითქო რასმეს დაეძებოო. ჰკითხეს: რას დაეძებ, რა ამბავიაო? კაცს ვეძებ, კაცსაო! ხუთი ფანარი რომ ანთოო ერთის მაგიერ და იარბინო ჩვენს ქართლში, კაცს ჭაჭანებად ვერ ნახავ; ძაღლებს კი უხვად შეხვდებით. რა ნაირ იკბინებიან—დედა, დედა! რომ არ შეიძლება?! ნამეტნავად თუ კორრესპონდენტის სუნს აიღებენ, მათს ყეფას, ღრინვას და კბილთა ღრჭენას საზღვარი არა აქვს.

რას იზამ? ეურებში ბამბა უნდა დაიცვა და მაინც მართალი უნდა ჭსთქვა, საწყალო კორრესპონდენტო! რას

ოტყვით, მკითხველო: სოფელს ანუ ქალაქს რომ უსაბუთოდ წაართვას ვინმემ „მადლა თარიზე შესკუშებულმა“ სანახიერო ადგილი, რომ ნახიერი ველარ გადიოდეს გარეთ—ეს მოსაწონია. ასეა გორში—გორი დაბალი ლობე გახლავს, ვისაც გინდათ, გადასტეხით უშიშრად. სამოცი დღისა მეტი მიწა ერთმა გვამმა გორს ჩამოართვა სანახიერო. გარეკეს ნახიერი, ეუბნებიან: ვერ მოგართვით, ბატონებო! ეს ადგილები გორის რიდია, ამისა და ამისია. გაწყრა ღმერთი! ჩამოაყარეს ყურები. უნდა იცოდეთ: გორს ქალაქის საამარეოველო ჭუ ვს და ამოდენა მამულს სხვას უგდებს ხელში, მაგრამ მახლას სომესისა არ იყოს.... რა ვიცი რაგორღაც კია საქმე და! მინამ კუდი არ მოეწვა სამმართველოს, მინამ თავს არ შეიდო; ახლა ნათვშვარზედ დაჩანჩალებენ. გორში ამისთანა საქმეების ჩადენა ადვილია: ვისაც სახლი არა გაქვთ, ხართ უბინაო, მოდით გორში, მოიგეთ ვისიმე გული, იმათი გული ვინც თიკვებს, ქერებს და სხვ. ამგვარებს ყიდულობს, უთხარით, რომ ომი უთუოდ გამოცხადებულია იქნება, მაშინვე თვალში და ტუჩებში აკოცებენ. ამის შემდეგ რაც გინდა ჭქმენ. საცა ცარიელი ადგილი იყოს, დაადგი ფესი, ერთს ექვს თვეს კანონის ძალით რაგორმე იხმარე ეს ადგილი და მორჩა და გათავდა!—გადაჭსჭიმე ისეთი სახლები, რომ ხემწიფეს ეკადრებოდეს. გორელები ხმას არ გაგცემენ, დარდი ნუ გაქვს.

აბა თქვენგან არ მიკვირს: ხსვაზედ რაზე იღებენ ხმას, რომ ამაზედ ამოიღონ: ვითომ გორშიაც მოინდომეს ქუჩების და მთლად ქალაქის გაწმენდა, აი ასსენიზაციას რომ ეტყვიან ექიმები, ისა, ჩემო ბატონო! აბა, თქვენგან არ მიკვირს! გორი და გაწმენდა ვის გაუგონია. წარსულ კვირეში, რაცა გამოცხადებულ იქმნა ქუჩების და კარ-მიდამოების გასუფთავება, თქვენს მონას და მობაასეს, ჩემო მეითხველო, ე. ი. მე, მომიხდა კვლა ბაზრის ზემო ქუჩაზედ. ერთმა ვიდამაც საშინლად მაღლის მოაჯრიდამ გადმოაქცია წვენი..... ახლა ითვიქრეთ რა იქნებოდა. ვერ გასწმენდენ გორის ქუჩას, არც საჭიროა: იმავ გორის დაარსებითგანვე გორის ქუჩაში ტალახი, სიმერალე, ადამიანის ფეინი, წუმეე, ოეგზის საჭარი გუბეები ყოფილა. მთელის ბაზრის დუქნების ბანები სულ მოკირწყლულია ადამიანის ფეინით და ზედგან მუჯრებით გადასცქერიან ამ სიმშვენიერეს. ამ სიმერალეს, შმორის სუნს, სენით საკვე ჭაერს შესჩვევია გორელი. ამას რომ ქუჩები გაუწმინდონ საშვილიშვილოდ ცოდვაში ჩავარდებიან სუფთა ჭაერი ამათ გამჭვარტლიანებულ ფილტვებს უცბათ ბოლოს მოუღებს. ნუ დაიდებთ, ბატონებო, ამათს ცოდოს, ნუ! თავის დღეში სისუფთავე არ გვინახავს აქ, ახლა შემოგაქვთ? ღმერთი არ არის თქვენში? რათ სდგებით ჩვენის ცოდ-შვილის ცოდვაში? ნათქვამია: ქალიმი წყალს დაღევს და ღმერთს შეხედავსო, შეხედეთ ღმერთს, ნუ დგებით ჩვენ ცოდოში!!

საყასბოები უნებებიათ და ქალაქს გარეთ გაუტანიათ. მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! რა დიდი შეცდომა მოსულიათ დ! მგონი სულ ნანობენ ეხლა. მაგრამ ასეთი ჩირქი დაგდეს, რომ-რომ ვერ გამოიმეტქვამს. საცა საყასბო იყო, იქ გვერდით არის დანგრეული სახლი, ბან ახდილი, სადაც ჭხოცდნენ საქონელს. აქ გუბდებოდა სისხლი, გროგდებოდა წელები, ოოველი უპატიურობა. ახლა წვიმა დამატებია ზედ და ასეთი საანახავია რომ რადა მოგახსენოთ. ანადგლეთ თუ დღეში ხუთი ექვსი კაცი კვდება! თვით ხომ ჯერ უნებელად არიან და რა ანადგლებათ. ასეთი ჭეარს ეს გუბე, ასეთი მომაკვდინებელი სუნი ასდის, რომ მეტი არ იქნება.

ქუჩები, ვსთქვათ, რომ აშალონ, ადარ უნდა დაგონ? რაგორც იყო აშალეს, დარჩა და დარჩა, რამდენმა მიიმსხვრია გვერდები ქვებზედ, რამდენმა შეატკა შუბლი გახიდულ ხეებს! ახლა დაიწყეს ქვის დაგება. რომ არ დაეგოთ, ის ბევრით სჯობდა: თან აგებენ, თან იშლება, ქვებს ვერ სჭედენ, ქვიშას ხეირიანად არ აყრიან, ალაგ-ალაგ უბრალო შავი მიწა თურმე ახმარეს. ჩვენ კორრესპონდენტები უჭირებდით საქმეს ბოლიციას, ახლა ხომ საამარეოველოს ხელშია ამისთანა საქმის გაკეთება, რატომ ეურადღებას არ აქცევენ? წეგრნი ამორჩეულნი ქალაქის წარმომადგენელთაგან ნეტა რათ იღებენ ქალაქისგან ფულს—ჯამაგირს?! სანახიერო წაართვეს, ქუჩები, ბაზრის დუქნის ბანები, რაგორც აქ ეძახიან, „ხითარაანთ ჩაით“ არის საკუე, ქუჩები აყრილ დაყრილია, და ამათ კი ბირი დაუდიათ. გაზაფხული დადგა, გესმით?—ზაფხულიც მომაკვლია, ბირი მოკუმეთ, თორემ ქინქლა ბუზუნს სველი ადგილი უყვართ საწოგათ; საქმეს გულმოდგინეთ მოჭიდეთ ხელი, სირცხვილია!!

1878 წ. აპრილის 8-ს. მგზავრი კოხი.

ქუთაისი, 6 აპრილს. სასურველია ეურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს შემდეგ მოვლინებას: რამოდენიმე თვის წინეთ რომ ჩამოსულიყავი ამ ჩვენს ქუთაისში, იტყოდი ამ ქალაქის მდებარობა და ჰაერი სამოთხეს ჰგავსო, და მართალიც იქნებოდი. ესლა კი იტყვი, ამ ქალაქს თუ მალე არ მოეშველა მზრუნველი ვინმე, შენი მტერია სამოთხის მსგავსიდგან ლაბის საწამლავის სასუნთქველ ადგილად გარდაიქცესო. დიაღ, სწორედ ეგრეა: უწინდელი აქაური სუნნელოვანი ჰაერი თან-და-თან გვექცევა საწამლავის სასუნთქველად. აი რის გამოისობით. აგერ ორი თვეა რაც აქ მოვიდა ქობულეთიდამ ორი ბათალიონი (ბერდანეს თოფების მისაღებად), რომელიც დაებანაკა ქალაქის არე-მარე გორაკებზე. ეს მშვენიერი პაწია მთები, რომელნიც ზედ დაჰყურებენ ქუთაისს, ისე გაანბინძურეს სალდათებმა სხვა და სხვა სიფინთით, რომ იქიდგან წამოსრული სიმურალის ოშხივარი მთელ ქალაქს ედება და აყრიდებს. მიგვიერს ამას რატომ ეურადღებას არ აძლევენ თვით ბათალიონთ უმეფროსები და არ უშლიან რუსებს ბინძურად ყოფნას. ის დალოცვილები ფეხის-ალაგებს მაინც გაკეთებინებდნენ, რომ სალდათებმა მთელი გორები თავიანთ.....

ეს ამბავი კი პოლიციის შეეხება: ასალ ხიდის თავში დგას ერთი თითრის ქალი, რომლის მარჩიელი ნაქებია მგონი მთელ ქუთაისის მაზრაში. მისი ბინაც ეგელამ იცის, ეგრეთვე ის თვასიც რასაც იღებს ეს ნაქები მარჩიელი ერთს რჩევაში: ათ შაურიდამ ვიდრე ხუთ მანეთამდე!.. ჩამოდის საწყალი გლეხი კაცი ქალაქში და თვის ოფლით ნაშრომს ჩყიდის და ფულად აქცევს. ხასლში დაბრუნებას რომ დაუპირებს, მარჩიელის მზვერავი გზაში უხვდება და უმეგობრდება. მათ შორის გაიმართება ერთი მასლაათი, რომლის დროსაც მზვერავი სცდილობს რამეს იმისთანაზე ჩამოაგდოს ლაპარაკი, რომელზედაც პასუხის გება „სამარჩიელო“ საქმეს შეადგენდეს. მაგალითად, ვთქვათ გლეხს წამოსცდა, რომ იგი სახლში მიეშურება, რადგანც მას ცოლი ორსულად უწევს. გასარებული მზვერავი სისარულით ფეხებს ვერ იმაგრებს და ჰკითხავს: «იცი შენ ცოლს ვინ ეყოლება, ქალი თუ ვაჟი?» ვაი, შენი ჭირიმე, მაგი ვიცოდე თუარა, მეტი რა მინდა. მე ხომ მარჩიელი არ ვარ“—უპასუხებს გლეხი. მზვერავსაც ეს უნდა. „ჩემო კეთილო თუ დამიმადლებ იმისთანა მარჩიელთან მიგიყვან, რომ უკეთეს ნუ მეტყვი!“ გლეხი დიდის მადლობით თანახმა უხდება, და გასარებული მზვერავი მიდის თავის მსხვერპლით თვის პატრონ მარჩიელთან. მარჩიელმა თვისი საქმე კარგად იცის და სცდილობს სულ თუ არა, ნახევარი მაინც იმ ფულისა, რომელიც მის მსხვერპლს აქვს, თავის ჯიბეში იგდოს. მცირე-ოდენ ხანის მერმე გასარებული გლეხი კი არ მიდის თავის სახლში, არამედ მიბრუნდა რომ თვის მეუღლეს ვაჟი მიულოცოს. ამ გვარად იღუპება მრავალი ქუთაისში სავაჭროთ ჩამოსულნი გლეხნი და პოლიცია ხმას არ ხეტეს მარჩიელს! ამბობენ მან არ იცისო არსებობს თუ არა მარჩიელი ქუთაისშიო, მაგრამ მე არ მჯერა: ნუ თუ ჩვენმა . . . . . პოლიციამ, ...

ეს არ უნდა იცოდეს?

ი—ა ი—ძე.

ზაქათალის მაზრა კახის უჩასტკიდამ. ღმერთო! მიეცი კეთილ მსურველს და მოქმედს იმისთანა ამჟამრა გამარჯვება ბოროტ-მოქმედებაზე, როგორისაც ძნელდგენი დღეს ვართ ჩვენ, მცხოვრებნი კახის უჩასტკისა!..—მგონია, «ივერიის» მკითხველს არ დავიწყებოდა ის კორრესპონდენტია ზაქათალიდამ, რომელიც, სხვათა შორის, ადიარებდა, რომ კახის უჩასტკის უფროსის უფ. ბოდუსლავსკის წყალობით, გლეხების მდგომარეობა ყოველის მხრით თან და თან უფრო უკეთეს მდგომარეობაში შედისო. რასაკვირველია, რომ გლეხების ფეხზე წამოყენება ეთანასწორება მათის მცარცველების—ვაჭრების დაცემას, და ამ მიზეზით, ეს უკანასკნელნი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ ამ წამოყენების ძირეულის მიზეზის გაქარწყლებისათვის. მაგრამ ვერ მიართვეს! ეტყობა, რომ ბედი უკეთესის ცხოვრებისა ცხრა მთას იქით კი არ ულიმებს ამ ჩვენ ინგილო ხალხს, როგორც აქამომდე იყო, არამედ კარზედაც მოჭსდგომია, და თუ არ ჭვსცდები, სახლშიაც შეუყვია თავი, სადაც დიდი და პატარა, კაცი და დედა-კაცი, ყმაწვილი თუ ქალი, ერთგვარის სიხარულით მიერთვიან და შეჭსტრფიან გაღიმულს ბედსა. ხომ მოგეხსენებათ ანგარის კაცის გული და ხასიათი: რაც უნდა მოუვიდეს, რაც უნდა ლაფში გაისვაროს, ის მაინც თავის ანგარობას არ დაივიწყებს, და დაუღალავად ებრძვის ყველა იმას,

რაც კი რამ აბრკოლებს მის ანგარიშის წყურვილსა. თუ მაშინ ამათ არაკინთან ჩიგილითი ვერა გაარიგეს რა, ესლა მოინდომეს გულ-შემატკივარს უფროსს ბოდუსლავსკის უფრო უარესი დაჭმართოთ ამ «ხალხის» მშველელს და მსნელს ადამიანს! გუკეთებია რალაცა "დანიელი" მთელს უჩასტკის სახელობაზედ და ბირდაბირ ფოშტით უკრავთ მთიულების სამმართველოის უფროსთან (къ Начальнику Горскаго Управленія) ამ დასკვნითა: «თუ ამ ოცი-ოდ დღეში თქვენ ყურს არ მოგვიგდებთ, გათავდა საქმე, ბირდაბირ კავკასიის ნამესტნიკთან ვიჩივლებთო.»—ახლა რა ეწერა ამ «დანიელში?» ბევრი რამ, მაგრამ ყველა სათითოოდ უსაფუძვლოა და აშკარა ტყუილი: ნაიბი (ესე იგი უჩასტკის უფროსი) საჩივარს არ არჩევსო, ხალხსა ჭსცემსო; თათრები სანაღირიდ მიჭყავსო და ძალით ახოტინებს ლორებისაო და თუ ლორის ხოცვაზედ უარს იტყვიან, თოფით თვით მათ უმიზნებსო! აი საზოგადო ჭაზრი ამ „დანიელისა.“ მოვიდა გამომძიებელი შეცრად, შეჭვარა იმ საათშივე კახის სოფლის ინგილოები და თათრები (450 კომ). გამოვიდა გამომძიებელი ხალხში. გაჭრები აქეთ-იქით დაძვრებოდნენ მელიებსავით და ჭრეკდნენ ხალხსა, მაგრამ რას გაარიგებდნენ იმ ხალხში, რომელმაც თავის ხუთის გრძნობით ერთად გაიგო, რომ ამასაც შეუძლიან უკეთესი კეცური ცხოვრება იმ კანონების მფარველობის ქვეშ, რომელსაც მათ ნაიბი თითქმის ყოველ დღე ასწავლის!

ჭკითხა გამომძიებელმა: „თქვენ ჭაისრულობთ ამ საჩივარს, რომელიც თქვენ ნაიბზე და თქვენას სახელით არის გამოგზავნილიო?“ ხალხმა შეჭსძახა: „ვის უჩივლია მაგაზედაო? მაგან დაგვიხსნა დაღესტნელებისაგანაო! ესლა ჩვენი ცოდ-შვილი სულ ყელ-გამოჭრილები ეყრებოდნენო, ჩვენი სოფლები ოხრებულნი იქმნებოდნენო, ჩვენი ბევრი ვაჟ-კაცი ციმბირში იქმნებოდა ტყვილ-უბრალოდ დაკარგულიო, ესეც ლეკების შემოსევისაგანაო! მაგან დაგვიხსნა ვაჭრებისაგან, რომელნიც უკანასკნელის ლუკმა-ბურის შოვნის სახსარსაც» კი გვარომევდნენო! ეგ გვასწავლის ჩვენ იმ კანონებს, რომელნიც დიდი ხანია, გამოცემულია და ჩვენ კი გვიმალავდნენო! ბატონო! ჩვენი ნაიბი, ჩვენ ვიცით ვისთვის არის ტყვე?! აი ამათთვის (მიუთითეს ბაჩოტნებზე და ბეგებზე), ჩვენთვის კი ეგ ძალიან კარგია და სხვანი და სხვანი.“ მთელის ხალხის გუნდი, თითქმის ამას იძახოდა. შესანიშნავია, რომ ამოტელა ხალხის გუნდის წინამძღვრად და მეთაურათ გამოჩნდნენ ყველაზე მეტათ საწყლები! «ბაჩოტნები“ სრულიად დაიკარგნენ, ისინი ხმასაც ვერარ იღებდნენ, და მაინც რა უნდა ექნა ოთხიოდე „ბაჩოტნს“ იქ, სადაც მთელი ხალხი ლომებსაებრ ბღავოდა—ეგ ჩვენი მტველიაო, მაგაზე კარგად და მარდათ სამართალი არავის არ გაუგრიაო და სხვა ამ გვარი! სწორეთ ამ გვარივე ბასუხი მიუგეს ყველა სოფლებმა კახის უჩასტკისამ. ხალხი ძლიერ მადლიერი იყო გამამძიებელისაც მის თავდაბლობისა და სიმართლისა გამო. ხალხში ლაპარაკობდნენ—მაგრე კარგად ჩვენ მხოლოდ სტარიესელსკი გვეძცოდაო სხვა არავინაო!

ხალხის მმართველნო, იმუშავეთ ხალხისთვის, რომელიც თქვენ გაბარიათ, დაიცვეთ ის იმოდენად მაინც, რამოდენადაც იცავს კანონი, ნურავის ნუ დაარჩაგვრინებთ ტვირთ-მძიმე გლეხობას და მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ ვერა ბოროტი ენა და «დანიელი» ვერ დაგშლავთ.

აუწერელ სიხარულში ვარ, რომ მე დღეს ჩემის საკუთარის თვალით ვნახე ის, რის დაჯერებაც მე აქამომდე ეგრე მეძნელებოდა. მე მოგახსენებთ მრავალის ჩვენის ახალგაზდების ჩიგილზე, რომ ჩვენ ხალხს არ ესმის კეთილიო; მისთვის მუშაობა და ის კი ორმოს გითხრისო! ვამბობ, დღეს მე აუწერელ სიხარულში ვარ, (რადგანაც საკუთარის თვალით ვიხილე), რომ ეს ჭაზრი ტყვილია. გაუკეთე შენ ჩვენ ხალხს მართალი და კეთილი საქმე, აგრძნობინე მას,—რომ შენ ყველგან მხოლოდ მისის სიკეთის მტველი ხარ და მაშინ დაინახავ—ორმოს გითხრის შენ ეს ხალხი, თუ დიდების გვირგვინს გიმზადებს! მაგალითისათვის, შორს წასვლა საჭირო არ არის: კახის უჩასტკის ხალხმა—ქრისტიანმა და მუსულმანმა (ქრისტიანები ცოტანი არიან, მუსულმანები კი ბევრნი), გასაკვირველის თანაგრძნობით და სითაძამით დაიცვა თვისი მცველი მაბეზღართაგან!

ეანო.

საქეგრელო, 2 აპრილს. („ვერ. კორრესპ.) რალაც უბედურობა არის ამ ჩვენს მაზრაში, კიდევ ადარ მოისმა და ადარ, ეგ თან შეზრდილი და ყოველად

სამულელი ჩვეულება, ე. ი. ქურდობა შინაურთა ბერეტვეთა თუმცა ხშირად გსმენიათ, მკითხველო, და გული გტკენიათ მასზედ, რომ ასე აწუხებენ ქურდები ჩვენს სოფლებს, მაგრამ მაინც შველა არსად არის.

საშინლად მიკვირს და ვფიქრობ, რა ნაირად უნდა იცხოვრონ კაცმა ამ ოხერ წუთის სოფელში; სადამ უნდა სჭამოს კაცმა ოფლით ნაშოვნი პური, რა ნაირი გემო უნდა ჭმობდეს პირში კაცს მაშინ, როდესაც სხვა და სხვა ოჯახის შესახებ ფიქრთა შორის ამ ძწარე და ნაღვლის ოფლით მოპოვნილ პურის ჭამაში კიდევ ეს ფიქრებიც გაწუხებს, რომ ერთი მაღე გარდავეცალოთ, თორემ ვინმემ პირიდამ არ ამოგვაცალოს ქურდულად. ერთის სიტყვით, როგორც მდგომარეობაში, ისე ძიღშიაც ეს ფიქრები თუ არ ჩაიფოლთ კაცმა, ჩვენს სოფელში ცხოვრება შეუძლებელია. წასულ წლებში მოსპობილი იყო ქურდობა ოფხაზეთში ცხენისა და საზოგადოდ შინაურთა პირუტყვთა პოლიციის საშუალებით. იქ თურმე «უეზდის ნაჩალნიკმა» შეჭერიბა საზოგადოება და გამოუცხადა შემდგომი: „თქვენ ადმოირჩიეთ ისეთი პირნი, რომელნიც არიან თქვენგან შეშინებულნი ქურდობაში, მაინდვეთ მათ დაცვა თქვენის სოფლებისა, და თუმცა თქვენს სოფელში რაიმე დაიკარგოს, სელ-წერილი ჩამოართვით, რომ იმათ გარდაიხადონ, და უკეთუ ამაზედ არ შეიქმნებიან თანხმანი და ეგ პირები თქვენის სოფლებისთვის მავნებელნი არიან, მაშინ მე იმათ გარდავასახლებ.“ თანხმად ამა ჭაზრისა იქ გამოარჩიეს თურმე ისეთნი პირნი და იმათ მაინდვეს დაცვა სოფლისა; ადრჩეულ პირებს უწოდეს სახელად „ზეგის თავი.“ მას შემდეგ ძალიან შეწყნარდა ქურდობა ოფხაზეთში. ამის გამო ჩვენს სამეგრელოს და რამოდენიმე ნაწილს იმერეთისასაც ქურდობამ კარგა ძალზედ იყლო, რადგანაც უმეტესი ნაწილი მოპარულის ცხენის და სხვა პირუტყვისა მისაფარებელი ადგილი ოფხაზეთი იყო. წარსულს 1877 წელს მოაწია ჩვენს სამეგრელოშიაც ამ პატივსადებელ განკარგულებამ, რომლის გამო სოფლების კრებამ აირჩივა იმ გვარი პატიოსანი პირები, რომელნიც ზემოდ მოხსენებულნი არიან. შენს მტერს იმისთანა სამწუხარო შეხვდენოდეს, როგორიც ამ შენიშნულ პირებს შეხვდათ იმ დროს!.. დიდი გულთა წუხილი და საშარი ფიქრით ლოგვარება მოხდა მათ შორის. ამბობენ, რომ, თუ არ დავთანხმდით ამ წესდებაზედ, მაინც გარდაგვასახლებენ, რადგანც საზოგადოებამ გარდასწყვიტა ჩვენზე, რომ ჩვენ ქურდები ვართ, და თუ დავეთანხმენით, ჩვენს სოფლებს ყველას ვინ დაიცავსო; სადმე თუ რამე მოჭვარეს ვისმეს, ჩვენ გარდაგვხდება, რადგან ჩვენ პირობას გვადებინებენო. მაგრამ იმედათ კიდევ ეს უშოებოდათ, რომ „ძალი ძალის ტყავს არ დახევსო“ და ქურდებს, ჩვენს ამხანაგებს, შეგებრალებითო. ტყუილს არ მოგახსენებთ, მეც ასე ვფიქრობდი, რომ, თუმცა ეს წესი რიგიანად დასრულდა, შეიძლება ქურდობა დასცხრეს მეთქი. მაგრამ—უბედურ კაცს ქვა ადმართში მოეწიაო—მაღე მოესპო მას ადსრულების გზა: ასეთი ამბავი და ოამიანობის დრო მოესწრო, რომ სადდა და ვის გაახსენდებოდა შენის ცხენის მოპარვის საქმე?

მოელო ბოლო ამ წესდების შესრულებას თუ არა, მაშინვე აღქვიტეს ქურდებმა ყურები და დაადგნენ ისევ იმ პირველ ჩვეულებას. კიდევ კარგი, რომ რამოდენთამე პირთა არ მიეცა დრო მათ ჩვეულების ადსრულებისათვის—ოამიანობის დროს სამსახურში შესვლით... მაგრამ მაინც რა შეიქმნა? იქ ისეთი ოამიანობა მოიხმარეს, რომ მეტი არ შეიძლება: აქ მოიპარეს ცხენები და ოფხაზეთში საშსახურში მეოფ მილიციონერებს მიუყვანეს; იქ იმათ შეინახეს ცოტა ხანს და ერთი თვის შემდგომ, როცა სოხუმიდამ ჯარი გამობრუნდა, ეს ცხენებიც თან წამოიყვანეს. გითომ რა? ესენი გაქცეულ ოფხაზების დატოვებულნი არიან და ჩვენ ვიშოვნეთო. ეხლა საწყალ უწინდელ ცხენების პატრონებს გული უკვდებათ, რომ მათი ცხენები მათვე მეზობლებს ჭყავსთ, ოდი და საბრალო გლეხო, ეხლა შენი ცხენი იმია და დაიბრუნე!.. საით რას გახდები? ისევ გულზედ ხელი შემოიკარ და დაჭმორჩილდი შენს ბედს. უფურე შენი მეზობელი შენს ცხენს როგორ ჭხედნის და შენ კი შენი ნაღვლი გულში მოიკალ! სხვა რა გზა გაქვს!.. ჩვენს სოფელში ამ კვირაა ერთ საწყალ გლეხს მოჭვარეს ცხენი: მისი პირველი და უკანასკნელი ცხოვრების სახსარი იმაზედ იყო. მან გარდასწყვიტა, რომ არდა შეუძლია იმისი მოახსვა, გამოიტანა სათემო შარაზე თავისის დაკარგულის ცხენის დარიბი უნაგირი, ამბობენ, რომ, თუ არ დავთანხმდით ამ წესდებაზედ, მაინც გარდაგვასახლებენ, რადგანც საზოგადოებამ გარდასწყვიტა ჩვენზე, რომ ჩვენ ქურდები ვართ, და თუ დავეთანხმენით, ჩვენს სოფლებს ყველას ვინ დაიცავსო; სადმე თუ რამე მოჭვარეს ვისმეს, ჩვენ გარდაგვხდება, რადგან ჩვენ პირობას გვადებინებენო. მაგრამ იმედათ კიდევ ეს უშოებოდათ, რომ „ძალი ძალის ტყავს არ დახევსო“ და ქურდებს, ჩვენს ამხანაგებს, შეგებრალებითო. ტყუილს არ მოგახსენებთ, მეც ასე ვფიქრობდი, რომ, თუმცა ეს წესი რიგიანად დასრულდა, შეიძლება ქურდობა დასცხრეს მეთქი. მაგრამ—უბედურ კაცს ქვა ადმართში მოეწიაო—მაღე მოესპო მას ადსრულების გზა: ასეთი ამბავი და ოამიანობის დრო მოესწრო, რომ სადდა და ვის გაახსენდებოდა შენის ცხენის მოპარვის საქმე?

მოელო ბოლო ამ წესდების შესრულებას თუ არა, მაშინვე აღქვიტეს ქურდებმა ყურები და დაადგნენ ისევ იმ პირველ ჩვეულებას. კიდევ კარგი, რომ რამოდენთამე პირთა არ მიეცა დრო მათ ჩვეულების ადსრულებისათვის—ოამიანობის დროს სამსახურში შესვლით... მაგრამ მაინც რა შეიქმნა? იქ ისეთი ოამიანობა მოიხმარეს, რომ მეტი არ შეიძლება: აქ მოიპარეს ცხენები და ოფხაზეთში საშსახურში მეოფ მილიციონერებს მიუყვანეს; იქ იმათ შეინახეს ცოტა ხანს და ერთი თვის შემდგომ, როცა სოხუმიდამ ჯარი გამობრუნდა, ეს ცხენებიც თან წამოიყვანეს. გითომ რა? ესენი გაქცეულ ოფხაზების დატოვებულნი არიან და ჩვენ ვიშოვნეთო. ეხლა საწყალ უწინდელ ცხენების პატრონებს გული უკვდებათ, რომ მათი ცხენები მათვე მეზობლებს ჭყავსთ, ოდი და საბრალო გლეხო, ეხლა შენი ცხენი იმია და დაიბრუნე!.. საით რას გახდები? ისევ გულზედ ხელი შემოიკარ და დაჭმორჩილდი შენს ბედს. უფურე შენი მეზობელი შენს ცხენს როგორ ჭხედნის და შენ კი შენი ნაღვლი გულში მოიკალ! სხვა რა გზა გაქვს!.. ჩვენს სოფელში ამ კვირაა ერთ საწყალ გლეხს მოჭვარეს ცხენი: მისი პირველი და უკანასკნელი ცხოვრების სახსარი იმაზედ იყო. მან გარდასწყვიტა, რომ არდა შეუძლია იმისი მოახსვა, გამოიტანა სათემო შარაზე თავისის დაკარგულის ცხენის დარიბი უნაგირი, ამ-

ყანდები, მოსართავები, ალგირი და სამოსელი. გზის პირში დასხა მან ორი დიდროვანი მწარე ბალის ხეები და ამათზედ ლურსმნებით დაჯჭედა ყველა ეგ ნივთები. ამათთანვე ორთავე ხალოებს შუაში ფიცარზედ იმ ცხენის ალი ჩამოჭკიდა, დაიჭირა ხელში წმიდა სანთელი და სთხოვა ღმერთს შეწუხებულის გულით: „აწ მე საკუთარ ჩემს ცხენზედ ჯდომას ვერ და ვეღირსები,—ამისთვის ეს ცხენი ვისაც წაუყვანია, იმას თავისი რიგი მიაგეთ.» შემდგომ დაბრუნდა თავის სახლში, თვალ-ცრემლიანი. ვაი მას ვისიც ნუგეში ცრემლიდასა. ერთ კაცს, რომელიც შენიშნული იყო წინედ ქურდობაში, ეჭკითხე მე თვითონ: «კაცი რომ კაცს რასმეს მოჭეარავს, განა ცოდვა არ არის?» მიპასუხა, რომ ქურდობა ცოდვა არ არისა, ამისთვის რომ, როცა იესო ქრისტეს ჯვარცმას უბირებდნენ, მაშინ ერთმა ვიდაცამ ჯვარზედ მისაჭედი ლურსმანი მოიპარა,—ამისთვის ღმერთმა ქურდი დალოცა, და თუ ცოდვა იყოს, რისთვის დალოცა?—იფიქრეთ, სადამდე მიაწია განათლებამ!...

რაქდენ საჯაოხელი.

კახის უჩასტკა. (ოგერ. კორრესპ.) რამოდენიმე ხნის წინეთ მე მქონდა ერთი შემთხვევა,—სწორეთ ორი კვირა გამეტარებინა ერთ ჩემ ნაცნობ სოფლის მასწავლებელთან იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელს სწავლა ჰქონდა შეოდაში, და მე კი, სხვა და სხვა გარემოების წყალობით თავისუფალი ვიყავ! ეს ამბავი, რა საკვირველია, თვითონ თავის თავათ არას მხრით შესანიშნავი არ არის მაგრამ ჩაზრი კი, რომელიც ამ ჩემ ნაცნობ მასწავლებელთან ყოფნამ დამიბადა, მგონია საინტერესო და გამოსადეგი იყოს.

ეს მასწავლებელი გახლავს ოც-და-ორისა თუ სამის წლისა; დაუსრულებია, თუ არ ვჭსცდები, სამაზრო სასწავლებელი (რომელის ქალაქისა აღარ მახსოვს) და რადგანაც მეტი გზა აღარა ჰქონია შაემთავრებინა ჩასწავლა ანუ სხვა უმეთეს ფულიან სამსახურში მასულიყო, თხოვნა შაეტანა სახალხო შეოდების დირექტორთან, რომ მას სადმე სოფელში სოფლის შეოდის მასწავლებლის ადგილი აეჩინა. დირექტორმა ისმინა მისი თხოვნა და გაამწესა იგი სოფ. ჯ. ერთი რამ მაძწონს ამ მასწავლელ ელ კაცში. საშინელი და თითქმის თავ განწირვით მეცადინეობა აქვს თვისის საქმის ხეირიანად წაყვანისათვის! ძაგრამ, სამწუხაროთ ჩემდა, რაც შრომა და მეცადინეობა იყო, იმოდენა ნაყოფი არ გამოდიოდა, ასე რომ შრომის კვლობაზედ მეხუთედი ნაყოფიც არ იყო. მიზეზები ამ გვარის მოვლინებისა ბლომათ გასლავს: ჯერ ერთი ის, რომ მას კარგად, ნათლად არ ესმოდა თვისი პირ-და-პირი დანიშნულება: ამას ეგონა, რომ მე მასწავლებელი ვარ სოფლის ბიჭებისა; ამათ მარტო წერა-კითხვა, დათვლა, ლოცვები უნდა ვასწავლოთ და მეტი არაფერიო! მეორეთ, ამას არ ჭქონდა შეჭსწავლული და განვითარებული ის უფრომლოთაც ორიოდე თვის საქმე წლებზე გადის: ამან არ იცოდა არც ერთის სასწავლო საგნის გარდაცემის სასასარი, ხერხი, მეთოდა; არ იცოდა არც ერთის საგნის გარდაცემის უპირველესი დანიშნულება და მოთხოვნილება, თუმცა თითონ მასწავლებელმა კითხვა-წერაც იცოდა, არითმეტიკაც, ლოცვებიც და სხვაც! ერთის სიტყვით ამან არ იცოდა—საზოგადოთ მთელი შკოლის ცხოვრების მომართვა, მთელის შკოლის წარმოება. მე მოვინდომე, ამ ორ მოცლილ კვირაში, გამეკეთებინა იმ გვარი საქმე, რომელიც გამოისყიდებდა ჩემ უსაქმოდ ყოფნას.—მე დავიბარე, ერთათ ამ შკოლის მასწავლებლთან, მთელის შკოლის ცხოვრების მომართვა, მთელი შკოლის წარმოება. მე ვსთხოვე, თუ არ მიიღებს საწყენათ, ანუ შეწუხებათ, ამ ორ კვირაში, ერთათ ვიმუშაოთ შენის შკოლის წარმატებისათვის მეთქი! მეც კარგად გავიცნობ ყოველ შენ საქმეს, მიზანს, ყოველ მხარეს შენი შკოლისასა მეთქი, და თუ რამე, ჭკვასთან ახლო არ იქმნება, გავასწორეთ მეთქი! მან დიდის სიამოვნებით მიიღო ეს ჩემი წინადადება და გადავწყვიტეთ ხვალ ორშაბათიდანვე დაგვეწყო ეს საქმე. მართლაც გითხრათ, ეს ორი კვირა, ჩვენ თითქმის დღე და ღამე გვქონდა შეწირული ჩვენის განძრასვისათვის! თითქმის მთელი კვირა დღე და სადამო ჩვენ გავატარეთ ამ საგნის გარჩევაში—„რისთვის და როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს წერა-კითხვა ჯერ სამშობლო ენაზე და შემდეგ ამისა რუსულიც.“ როდესაც ჩვენ განვსაჯეთ ეს საგანი და ერთმანეთის სიტყვა-ბასუხი ურთი-ერთს შეუწონეთ, ერთის სიტყვით, რომ ამ საგანზედ ვლაპარაკობდით, ის განცვიფრებაში მოდიოდა და ბევრჯელ მეკითხავდა: „სად ჭსწერია ეგენიო? მაგეების შატუობა მე დიდი ხა-

ნია მინდოდა, მაგრამ მე არ ვიცოდი სიდამაო!» სწუალი! რა ქნას? ხომ მოგეხსენებათ ჩვენი სოფლის მასწავლებელის მდგომარეობა!? ის მოკლებულია არა თუ რამდენათმე განათლებულ საზოგადოებას, არამედ უკანასკნელ მჩვენებელს და უუსაჭიროეს ბედაგოგიურს წიგნებსაც კი, ამისგამო თუნდ დიდი სურვილიც ჰქონდეს განვითარებისა, სურვილი უქმად ჩაუვლის ხოლმე. მხოლოდ ჩვენმა ბასმა და საგნის გამოძიებამ ისა ჩქნა რომ იგი მასწავლებელი ამ ორ კვირაში თითქმის სულ გამოიცვალა და სუკეთესოთაც; იგი მიხვდა საგნის გარდაცემის სელოვნებას, სხვა რიგად დაიწყო ქცევა და ერთობ მთელის შკოლის საქმე უკვედ გაიცნო.

გარდა ამისა, მე დაუსახელე სხვა და სხვა ბედაგოგიური წიგნები და სახელმძღვანელონი, რომელნიც, ჩაუვარდა სელში თუ არა, როგორც მშიერმა ისე გამოიყენა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალს წელსაც ერთხელ კიდევ მომიხვდეს ამოდენა დროის მასთან ერთად შკოლის საქმის წარმოება, ვამბობ დარწმუნებული ვარ, რომ ის მასწავლებელი, როგორც თვითონ, აგრეთვე, მოლად მის ამარაზე მიგდებული შკოლაც, სულ სხვანაირათ მოჭმართავენ თავიანთ ჩანგს! აი ამ ლიტონმა შემთხვევამ დაჭბადა ჩემში შემდეგი ჭაზრი: ჩვენ შკოლებს ჭეკვსთ უფრონები, ამათი თანაშემწენი, ინსპეკტორები და სხვები, რომელნიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ ჭნასვენ ხოლმე ყველა შკოლას, სადაც ბევრი ბევრი რომ ვსთქვათ ორ დღესაც არ დაჭრჩებიან ხოლმე. აბა ერთი მიბძანეთ ან რა უნდა შაიტყონ მათ შკოლის მდგომარეობისა, ან კიდევ რა უნდა უჩვენონ ჩვენის შკოლების მოუმზადებელ მასწავლებლებს ამ მოკლე სანს? მგონია არათუერი. ისინი ძლიავს იმ საქმისათვის იცლიან, რომ როგორმე გამოჭკითხონ მოწათეებს შესწავლილი და ამის შემდეგ გაეშურონ მეორე შკოლისაკენ. მგონია ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი სამასწავლებლო მართველობა დაჭნიშნავს ოციოდე, ანუ ოცდაათ შკოლაზე თითო კარგ, ნატოდნ და გამოცდილ ბედაგოგს, რომლის მოგალეობა, მხოლოდ ის იქნება, რომ მან დაუარა ყველა მისთვის ჩაბარებულ შკოლებს, ერთხელ მაინც წელიწადში, დარჩეს ხოლმე თითო შკოლაში ორ-ორი თუ მეტი კვირა რომლის განმავლობაში აუსსნას და აჩვენოს მასწავლებელის ყოველივე რაც შკოლის წარმოებისათვის საჭიროა და უფრო გამოსადეგია.

აი ის ჭაზრი, რომელიც დაჭბადა ჩემში ხსენებულ მასწავლებელთან ყოფნამ! და მართლა შაუძლიან ამ ჭაზრის შესრულებას ჩვენის შკოლის საქმის აწევა თუ არა, მიმინდვია თვით მკითხველისათვის!

ვთხოვთ «თფილისის მოამბის» ანუ «ობზორის» რედაქტორებს გადაიღონ ეს ჭაზრი თავიანთ გაზეთებში.

ეანო.

საპოლიტიკო მიმოხილვა

ძნელად თუ იქნება იმისთანა გაჭირვებული მდგომარეობა, როგორშიაც ესლა არის ჩაგარდნილი ევროპა და მეტადრე რუსეთი. რამდენი სანია მტერი მტერს შეურიგდა, მაგრამ საქმის დაბოლოვება კი ჯერ ღმერთმა უწყის. გერმანიამ იკისრა რუსეთისა და ინგლისის შორის შუა კაცობა და ცდილობს როგორმე აუცილოს ევროპას ახალი ომიანობა, რომელიც, რასაკვირველია, დიდ განსაცდელს უქადის ყველას. ძნელი და თითქმის შეუძლებელი საქმე კი იკისრა გერმანიამ, ღვთის წინაშე. მტერზედაც კი მართალი უნდა თქვას კაცმა: ის სიდიადი, რომელზედაც დამდგარია ამ ყამად ინგლისის დიპლომატია, მტკიცე და შეურეველია. ოსმალეთის არსებობაზედ ევროპაში და თვით აღმოსავლეთის საქმის შესახებ სუფევსო სხვა და სხვა ოქმი და ხელ-შეკრულობა, რომლის დარღვევა და უკუგდება შესაძლებელია მხოლოდ იმავე სახელმწიფოთა მიერ, რომელთაც დაადგინეს ეს ოქმი და ხელშეკრულობა. კარგია თუ ავი სანსტეფანოს შერიგება, იგი უქმია, თუ დამტკიცებულ არ იქმნა ევროპის მიერ, რადგანაც ძირიანად სტვლის ოსმალეთის აწმყო მდგომარეობას სხვა სახელმწიფოთა შორის და ადგენს ახალს მოწყობილობას ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ. ახე ადვილი რომ იყოს პირობისა და ხელშეკრულობის დარღვევა და უკუგდება და მაშინ რაღა ძალა ექმნება ყოველგვარს სალსთა შორის ოქმს და წერას? მაშ უქმი შრომაა და ტყუილ-უბრალოდ დრო დაკარგვა ყოველ გვარი კონფერენცია თუ კონგრესი, რომელშიაც არსდება ოქმი, წერილი და სხვ. უქმი უნდა იყოს აგრეთვე ის კონგრესიც, რომელშიაც სანსტეფანოს შერიგება მთლად არ იქმნება წარდგენილი. აი ამ ნიადაგზედ დგას ამ ყამად ინგლისი და მისი უმთავრესი მინისტრი ბიკონსფილდი. გერმანიას ჭსურს ერ-

თი ნაბიჯი მაინც დაათმობინოს როგორც ინგლისს ისე რუსეთსაც, და ამისათვის მოიგონა შემდეგი: კონგრესსის წინაშე წარდგენილ უნდა იქმნეს ოქმი 1856 წ. და 1870 წლისა; სასულმწიფოთა მოლაპარაკება და ბასი დამყარებული იქმნება მაზედ, თუ რა ცვლილება უნდა მოხდეს ამ ოქმში სან-სტეფანოს შერიგების მიხედვითა. რას არ მოიგონებს დიპლომატია. თავს იმალავს და ჭკონია არავინ არ მსედავსო. ვთქვათ შეიკარა კონგრესი იმ განზრახვით და იმ პროგრამმით, რომელიც გერმანიის მეკრ არის წამოყენებული; ვთქვათ კონგრესის წინაშე წარდგენილ იქმნას სან-სტეფანოს შერიგების პირობები კი არა, არამედ 1856 წ. და 1870 წლის ოქმები შესაცვლელად. აი გაიმართა ბასი, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს ორში ერთი შედეგი: ან შესაძლებელია, რომ კონგრესი სრულიად დაუთმენდეს სან-სტეფანოს შერიგებას და სწორედ იმ გვარიგე ცვლილება მოახდინოს ზემოხსენებულ ოქმებში, რომელიც მთლად შეეფერება რუსეთის სურვილს; ან არა და შესაძლებელია, რომ კონგრესმა იმისთანა გარდაწყვეტილება დასდვას, რომელიც შერიგების ყოველ უმთავრესის მუსლის წინააღმდეგი იქმნება; შესაძლებელია არც ერთი უმთავრესი სურვილი რუსეთისა არ მიიღოს კონგრესმა მსედველობაში. ორივე შემთხვევაში კონგრესის წინაშე მაღვით თუ ცხადათ, წარდგენილი იქნება სან-სტეფანოს შერიგება. თუ პირველი შედეგი მოჰყვება კონგრესს, ხომ კარგი; მაშინ რუსეთი რასაკვირველია დაეთანხმება კონგრესის გარდაწყვეტილებას. მაშინ რასაკვირველია საქმე მშვიდობიანად დაბოლოვდება. მაგრამ თუ კონგრესის საუბარს მოჰყვა მეორე შედეგი, თუ კონგრესმა არ დააკმაყოფილა არც ერთი უმთავრესი სურვილი რუსეთისა, მაშინ რასაკვირველია რუსეთი არ დაემორჩილება კონგრესის განჩინებას და ისევ თავისასზედ დადგება. ამ შემთხვევაში საქმე ისევ იქამდისინ მივა, საიდამაც დაიწყო და კონგრესი ტყუილ უბრალო დროს გატარება იქნება. ეს კარგად იცის ინგლისმა და ამიტომ თამამად დგას თვის მტკიცე ნიადაგზედ. სხვა სასულმწიფომაც კარგად იცის ეს ჭეშმარიტება, მაგრამ თავს იმალავს და ჭკონია არავინ არა მსედავსო.

გარდა ამისა კიდევ სხვა საქმესაც კისრულობს გერმანია. როგორც მოგესსენებათ რუსეთს ჯარი და ინგლისის სამხედრო სომაღლები ძალიან ახლო უდგანან ერთი ერთმანეთს, ისე ახლო, რომ მშვიდობის მოყვარეთ ეშინიათ კონგრესის ბასის დროს უბრალო რამ მიზეზმა თოფ-იარაღის ჭექა-გრიალი არ დაბადოსო. ამისათვის გერმანია სცდილობს რუსი და ინგლისი დიდ მანძილზედ გაიშორონ ერთი ერთ-ერთმანეთს. ჯერ-ჯერობით მოლაპარაკება ამ მანძილზედ არის გამბული.

ეს უველა კარგი, მაგრამ «მანამ ბეტრე მოვიდაო ბავლეს ტუკვი გაამგრესო». ჩვენი საქმეც ასეა. მითომ რაში ეტეობა ომიანობის გათავებას და შერიგების ჩამოყარდნას? მართალია სისხლის ღვრა არ არის, მაგრამ ნაკლები ხალხი იხოცება თუ ავათმყოფობისა და სხვა მიზეზის გამო, ან ნაკლები ზარალი მოსდის რუსეთს? მარტოკა ბალკანიის მსედრობა უჯდება დღეში ორ მილიონ მანეთად. გარდა თვით ხელმწიფის კარის ჯარისა 800 კაცი—არც ერთი ნაწილი არ დაბრუნებულა შინისკენ. არამედ თხუთმეტი ათასი კაცი მოემატა კიდევ შესავსებლად. მართალია ოსმალეთი შეურიგდა რუსეთს მაგრამ რაღაც ეოუმანობაშია და ორპირობა, ქვეშ-ქვეშობა ეტეობა. თუმცა შერიგების ძალით ციხე-სიმაგრენი ვარნა, შუმლა და ბათუმი ოსმალეთმა რუსის ჯარს უნდა დაუცალოს, მაგრამ აქამდისინ ხელიც არ გაუნძრევია ამ პირობის აღსრულებისათვის. შერიგების პირობებში არა სწერია, ამბობს ოსმალეთი, თუ რა დროს უნდა დაცალოვო. მართლა და არა სწერია. ეს გარემოება ღირს შესანიშნავია: თუ ინგლისელები შავზღვას ხელში ჩაიგდებენ, შუმლა და ვარნა დიდ დაბრკოლებას მისცემს რუსის ჯარის მოქმედობას ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ, როგორადაც ბათუმი დაბრკოლებს ჯარს მცირე აზიაში. გარდა ამისა ოსმალეთი, რაც შეუძლია, ჯარს აგროვებს და ხელს იმართავს. სტამბოლში და მის ახლო-მახლო ჯარის რიცხვი ასოცდაათ-ათასამდე იქნება. ოსმან თავში, რომელიც ტყვეთ იყო რუსეთში და ეხლა შინ არის დაბრუნებული, დიდ შრომასა სწევს მსედრობის განსახლებისა და მომართვისათვის. ვისგან იქმნება ოსმალეთი, თუ ომიანობა ასტყდა, ღმერთმა უწყის. იგი ჯერ-ჯერობით ორ წყალშუაა: ერთის მხრით ინგლისი ეჭიდება და სცდილობს თავისაკენ გადიყვანოს, მეორეს მხრით რუსეთის გავლენაც მოქმედობს მასზედ. მართალია ცოტად უხერხო იქნება ოსმალეთისა და ინგლისის შორის ზავი, რადგანაც ინგლისი როგორც მოგესსენებათ, სპარეძნეთის მხა-

რეს იტყვის, რომელიც დიდად გულნაწყენია სან სტეფანოს შერიგების მიერ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ძნელი სათქმელია თუ საბერძნეთი ვის უფრო ემტერება რუსეთს თუ ოსმალეთს. იგი უველაზედ უწინარეს ემტერება, რასაკვირველია, ახალს მოწოაბილობას ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ, და მერე ემტერება უმეტესად რუსეთს, რადგანაც იგი, როგორც გამარჯვებული და უფრო ძლიერი, არის თავი და თავი მიზეზი და მოთავე ამ ახალის მოწოაბილობისა. ამიტომ ვისკენაც უნდა იყოს ოსმალეთი, საბერძნეთს არაფერი არ დაუშლის რუსეთის მოწინააღმდეგეს მიუდგეს. ოსმალეთისა საბერძნეთს ისე არა ენადგლება რა, როგორც რუსეთისა, რომლის გაძლიერება ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ დიდ განსაცდელს უქადის მის არსებობას, თვით საბერძნეთის აზრით. თუმცა ოსმალეთის ბერძნულ პროვინციებში ჯერაც არ შეწყვეტილა ბრძოლა ბერძნებისა და ოსმალთა შორის, მაგრამ ინგლისი ძალიან სცდილობს როგორმე შეაწყვეტინოს ეს ბრძოლა და, როგორც ეტყობა, ცოტად თუ ბევრად ახერხებს კიდეც. ამგვარად ინგლისს არ გაუძნელდება დაჭირდეს საბერძნეთს დიდ სარგებლობას, დაიყოლიოს და მით გაიადვილოს ოსმალეთთან ზღვის შეკვრა.

ახლა დავსდეთ ინგლისს რა ეოფაშია და რა მასა ცდებს. გაზეთებში იწერებიან: გალლიპოლის ნახევარ-კუნძული (დარდანელის სრუტის ნაპირას) ისეთ ნაირად არის გამაგრებული, რომ მისი ალება და დაბურობა შეუძლებელია. რუსის ჯარი ვერ მიუდგებია, და თუ მიდგომა დაპირა, დიდძალი სასხლის ღვრა მოუნდებია. ვიდრე პეტერბურგში, ვენაში და ლონდონში მორიგებაზედ ბაასობდნენ, ამბობს ერთი რუსის კორრესპონდენტი, აქ (ე. ი. გალლიპოლში) არსებობდა ჩუმი და უსრულველი ომიანობა; ორნივე მებრძოლნი სარჯავდნენ მიღლიონებს; ერთი (რუსები)—თავის-თავის გამოკვებისათვის, მეორე—მსასურთა და მოზვეთა მოპოვებისათვის; ჩვენმა მტერმა (ე. ი. ინგლისმა) ფულისა და ოქროს შემწეობით მოიგო ბრძოლა უბრძოლველად და დაიპყრა რაც უნდოდა.» რაც შეეხება ბოსფორს, აქაც დიდი სიმაგრები შენდება ოსმალების მიერ. ბოსფორის ევროპის ნაპირას არ არის არც ერთი ბატარეა, აზიის ნაპირას კი თოთხმეტია; გარდა ამისა ამ ნაპირასვე დგანან ეგვიპტის ჯარი, ოსმალეთისა და ინგლისის სამხედრო ხომალდები. იმავე კორრესპონდენტის სიტყვით, თუ რუსის ჯარი მიადგება ბოსფორის ნაპირას მზად დახვდება უშველებელი ტეტლი, რომელიც დაეხმარება ინგლისის ფლოტს.— ინგლისს გამოუწვევია ინდოეთის ჯარიც.

ეს ამ გვარ მდგომარეობაში სწარმოებს წინდელი მოლაპარაკება და დიპლომატიური მიწერ-მოწერა. იქნებაღა კიდევ ამაზედ უარესი მდგომარეობა: კაცს ერთ ხელში კალამი ეჭირაოს, მეორე ხელში თოფი-იარაღი; ერთის ხელით უკანასკნელ ლონისძიებას ხმარობდეს საქმის მშვიდობიანად გათავებისათვის, მეორე ხელით კი კანკალით სტენდეს ზარბაზანს... წინ დახედვა, დამჯდარი თვალი კარგი საქმეა.

მანამ ევროპას გაეგონა კალმის ჭრიალი და ზარბაზნების გრიალი, საფრანგეთის რესპუბლიკა უშლის ქვეყანას თვის ჭკვისა და ზნეობის საუნჯეს. 1 მაისს (ჩვენებურად 19 აპრილს) ახალი იქმნა პარიეში საქვეყნო გამოფენა. საფრანგეთის რესპუბლიკა დღესასწაულობს თვის გამარჯვებას თვის შინაურ მტერზედ, გამარჯვებას, რომელიც მოიპოვა სისხლ დაუღვრელად, თოფ-უხმარებლად, მხოლოდ თვის შინაგანის ძლიერებით. განახლებული საფრანგეთი უჩვენებს ქვეყანას თუ რა შეუძლიან იმ დიდებულ დედ-აზრს, რომელსაც დასტრიალებს საფრანგეთის ახალის დროის ისტორია, რომელსაც ეს დედაზრი ხორცში და კანში გასჯდომია ქვეყანას დიდიდამ პატარამდე.

საასამართლოს მატიანე

ზასულიჩის ქალის საქმე

(სიტყვა ზასულიჩის ვექილის ალექსანდროვისა)

(ბეჭდვა *)

მე მიკვირია გამოსარჩლება ვერა ზასულიჩისა, რომელმაც თვითონ ამოამირჩია; მოიმისმენია მისგან ბევრი რამ, რომელიც მას უცვნია საჭირო ჩემდა გადმოსაცემად,— და უნებლიად ვშიშობ, ვაი თუ მისი გულის ხმა სრულად ვერ გამოვსთქვა, ვაი თუ დამრჩეს გამოუთქმელი

*) «ეგერია» № 15. 1878 წ.

იმისთანა რამ, რომელსაც ვერა ზასულიჩის აზრით, ძნიშვნელობა ექმნება საქმისათვის. მე შემეძლო დამეწყო ჩემი საუბარი პირდაპირ 13 იელისიდამ, მაგრამ ჯერ სასურველია გამოკვლევა იმ გარემოებისა, რომელშაც შეაკვშირა 13 ივლისი 24-ს ივნვართან. გარემოება ეგ თვით ვერა ზასულიჩის ცხოვრებაა თავიდამ ბოლომდე. განხილვა ამა ცხოვრებისა მეტად ღირს-საცნობია და ჩამოთვლილებული; ღირს-საცნობია არა მარტო აწინდელის საქმისათვის, არა მარტო მისთვის, რომ განისაზღვროს რამოდენად არის დამნაშავე ვერა ზასულიჩი, არამედ იმისათვისაც რომ მის წარსულს ცხოვრებაში მოვიპოვით ბევრს საჭიროს და გამოსაყენს საბუთს აღსახსნელად იმისთანა საგნებისას, რომელნიც არ ექვემდებარებიან საამართლოსა და საჭირონი და გამოსაყენნი არიან საცოდნელად და შესაგონებლად იმ მიზეზთა, რომელნიც ჩვენში ჭმნიან ხოლმე დანაშაულობას და დამნაშავესა. თქვენ მოგესენათ თვით ვერა ზასულიჩის პირით ზოგიერთი ამბავი მისის ცხოვრებისა; ის ამბები გძელნი არ არიან და იმათშიაც მე მარტო ზოგიერთზედ შევაყენებ თქვენს ყურადღებას. თქვენ გაუწყათ, რომ შვიდმეტის წლის ვერა ზასულიჩმა გაათავა რა კურსი მოსკოვის პანსიონში, გამოჩენილად დაიჭირა ეგზამენი შინაურის მასწავლებლობისა და დაბრუნდა შინ თავის დედასთან. მოხუცებული დედა ჭსცხოვრებს აქ პეტერბურღში. დიდი ხანი არ გამოსულა, რომ შვიდმეტის წლის ქალს შეჰვდა გატაცება ნეჩაევისა და მისის დისა; გაიცნო ისინი შემთხვევით სიოსტატო შეკოლაში, ს

არც ნათესავი, არც ნაცნობი. მხოლოდ ზოგჯერ საპურობიდის მოსულს პირით შეიტეობდა ხოლმე, რომ ყველანი, მადლობა ღმერთს, კარგად არიან. არც საქმე რამ, არც გასართობი. ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, საკითხავი წიგნი საპურობიდის ტენზურაში გამოვლილი; ორიოდ ნაბიჯის გადადგმის დონე ოთახში და სრული უფლობა დაინახოს რამ საპურობიდის სანათურიდამ. დახშული ჭერი, იშვიათად სასეირო გასვლა, უძილობა, საჭმლის მოუნელობა. ადამიანის სახად ხიდვა მარტო საპურობიდის გუშაგისა, რომელსაც სადილი შემოაქვს, და ყარაულისა, რომელიც დრო გამოშვებით შემოიჭიტინებს კარის მინიდამ, ვნახო ბურობილი რას ამბავშია. ხმაურობა კლიტეების გადებისა და დაკეტისა, ყარაულების თოფების ჩხარა-ჩხური, როცა ერთმანეთს ჭსცვლიან, ზომიერი და ერთგვარი ფეხის ხმა წინა და უკან მოარული ყარაულისა და სეკვდანი რეკა ბეტრიოპავლოვის ციხის საათისა. მეგობრობის, სიყვარულის, ადამიანთან კავშირის მაგიერ, ის თვალი, რომ მარჯვნივ და მარცხვნივ კედელს იქით მისთანავე ამხანაგნი თანამზიარენი არიან ამავე უბედურობაში, მისთანავე მსხვერპლნი არიან უბედურის ხვედრისა.

ამ ჭაბუკობის ხანში, როცა აღორძინდება ხოლმე კაცის გულში თვისება თანაზიარობისა, თანაგრძნობისა, ზასულიჩმა მართლად გამოზარდა და მტკიცედ დაინერგა გულში სამარადისოდ ერთი გულის ტკივილი, უნგარო სიყვარული ყოველ იმ ადამიანისადმი, რომელმაც მისებრ უნდა აღოღიალოს უბედური სიცოცხლე სასელმწიფო დანაშაულობაში შეწამებულისა. საპოლიტიკო ბურობილი, ვინც უნდა ვოთვლიოთ, შეიქმნა მისთვის ძვირფასს მეგობრად, თან შეზრდილ ამხანაგად. საპურობიდე იყო მისი alma mater, რომელმაც ფესვი გაუმაგრა იმ მეგობრობას, იმ ანხანაგობას. ორი წელიწადი მიწურვაზედ მიდგა. ზასულიჩი გამოუშვეს, რადგანაც ვერაფერი საბუთი ვერ უპოვეს სამართლში მიცემისათვის. მას უთხრეს „წარვედ“ და არც კი დუმატეს: „და ნულარ შეეჭეცლადვ.“ იმიტომ რომ შეცოდება ვერ უპოვეს და არცა ჭქონია. ორის წლის განმავლობაში მარტო ორჯერ გამოჭკითხეს და ერთს დროს რამდენიმე თვე გულდაჯერებულიც იყო, რომ სრულად დავიწყებულია. „წარვედ...“ საით უნდა წასულიყო? კიდევ კარგია, რომ მას ადგილი ჭქონდა, აქ ბეტერბურღში მოხეტიალული დედა ჭყვანდა, რომელიც სასრულით დაუხვდებოდა თავის ქალსა. დედასა და შვილს დიდად იამათ ერთმანეთის ნახვა, თითქმის ორი მძიმე წელიწადი დავიწყებას მიეცა. ზასულიჩი ჯერ კიდევ უმაწვილი ქალი იყო, სულ 20 წლისა. დედა ნუგეშ ჭსცემდა და ეუბნებოდა: „ესლა არა გიშავს რა, ვერავ; ესლა აქმე კარგა წავა, რაც იყო, ყველამ მშვიდობით გაიარა და მოარჩა.“ მართლადაც, საგონებელი იყო, რომ წყლულნი გამთელდებიან, ანალგაზდობა დაჭსძლევს და წაიშლება ყველი მძიმე ბურობილებისა. გაზაფხული იყო; აგარად გასვლის სიამე წარმოუდგა თვალწინ; ზაფხულში სოფლად ცხოვრება როგორ არ უნდა მოჭსჩანებოდა სამოთხედ საპურობიდის ცხოვრების შემდეგ. გავიდა ათი დღე ამ სიამოვნების ფიქრსა და ოცნებაშია. ეეცრად დაურეკეს კარის ზარი. ეს იყო გვიან ღამითა. დაგვიანებულ კეთილის-მოთმელი ხომ არ არის ვინმე? გამოჩნდა რომ კეთილის-მოთმელი არ არის, მაგრამ არც კი მტერია. იქაური პოლიციის ზედამხედველია. ზასულიჩს ეუბნება, რომ ბძანება მაქვსო გასამგზავრებელს (пересылочная) ციხეში წაგიყვანოთ.» როგორ თუ ციხეში? აქ უსათუოდ შეცდომა რამ უნდა იყოს; მე ნაჩაუის საქმეში ბრალეულად არა ვარ ცნობილი, მე სამართლში არ ვარ მიცემული; ჩემს თანამზედ საქმე მოსაზობილია სასამართლოს პალატითა და სენატითა.“ მე ეგენი არ მეკითხება, მიუგებს პოლიციის ზედამხედველი, გთხოვთ წამობძანდეთ! მე უფრთხილესად მაქვს ბძანება თქვენ წაგიყვანოთ. დედა იძულებულ იქმნა ქალი გაესტუმრებინა; მოუმზადა ხელად რადაც თხელი ტან-საცმელი, ბურნუსი და უთხრა: „ხვალ შენს ანანასვად; ბრალეულორთან წავალთ. ეს ამბავი უსათუოდ შეცდომა რამ არი. საქმე გაისინჯება და შენ განგათავისუფლებენ.“ გადის ხუთი დღე, ზასულიჩი ციხეში ზის სრულის იმედით, რომ მალე განთავისუფლებენ. განა შესაძლებელია, რომ მას შემდეგ რა კი სამართლმა მოსთხოვა საქმე და მიზეზი ვერა უპოვა რა ბრალის დასადებად, ზასულიჩი, ძალიან-ძალიან ოცის წლის ქალი, მცხოვრები თავის დედასთან, გაისტუმრონ სიითმე, და გაისტუმრონ ისიც მაშინ, როცა ეს ეს არის განთავისუფლებულ იქმნა ორის წლის ციხეში ბურობილობისაგან. გასამგზავრებელს ციხეში მოვიდნენ ანანასვად დედა და და; მოუტანეს ხმელი ხილი, საკითხავი წიგნები; არავის თვალთაც არ მოზდის რომ სიითმე გაისტუმრებენ და არავინ არ ფიქრობს საპზადისშია მისის

გასტუმრებისა გამო. მეორეთ დღეს დაწერის შემდეგ ზასულიხა ეუბნებიან: მობრძანდით, თქვენ ესლა გისტუმრებენ კრესტის ქალაქში. „როგორ თუ მისტუმრებენ? საგზოდ მე არა მაქვს რა მომზადებული. იმდენი მაინც დამცალეთ, რომ ჩემს ნათესავებს შეკვლა-ტორბინო. მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ რაღაც შეცდომაა. ეგ სიკვეთე მიეცეთ, დამცალეთ, შეეთვალეთ ტოტალ ჩემი გასტუმრება ერთის თუ ორის დღით მაინცა; მე შეკვლა-ტორბინებ ჩემს ნათესავებს.» არ იქმნება, ეუბნებიან ბასუსად, კანონი ნებას არ გვაძლევს, ბძანებაა დაუყოვნებლივ უნდა გაგისტუმროთ. რას იქმოდა? ზასულიხმა იცოდა, რომ კანონს უნდა დაემორჩილოს, მხოლოდ არ იცოდა კი რა კანონზეა აქ ლაპარაკი. გაემგზავრა მარტო ერთის კაბის ანაბარათ, ერთს თასულს ბურნუსში. ვიდრე რკინის გზით მიდიოდა, კიდევ არაფერი. მერე ფოშტის ცხენებით წა ყვანეს კაბიტკითა, აქედ-იქით ორი ყანდარმი უჯდა. ბბრალის თვე იყო. თასულს ბურნუსში საშინლად ცივოდა. ყანდარმა თავისი შინელი მოიხსნა და წამოასხა ქალს. ამ ყოფით მოიყვანეს კრესტში.

(შემდეგი იქნება)

საქმე ანდრეევსკის ქალის მოკვლისა.

(შემდეგი *)

მოწამემ ონიკოვმა თქვა, რომ მამულის გაყოფაში ანდრეევსკის ქალის მხრით მე ვიყავი. თუმცა ანდრეევსკიანთ დიდი ხანია ვიცნობო, მაგრამ ნინოს სასიათზედ ვერას ვიტყვიო. მამულის გაყოფის შემდეგ ორივ მხარე კმაყოფილი დარჩა. ანდრეევსკის ქალმა მითხოვა, რომ მის საწილისათვის მოურავი მეშოვნა, მანამ ოდესიდამ დაიბრუნებდაო. მეც ვეძებე სულსანოვი ვეკვანა. ანდრეევსკის ქალის ამბავი ბოროტობაში მომივიდა. შემდეგ, მარტიმობის თვეში, ანდრეევსკის ტოლი მიხაილოვის სადგურშიო (რკინის გზაზედ) ვნახეო, ოდესაში მიმავალიო; ანდრეევსკის ტოლი ძალიან შეწუხებული იყოო და მარტო იმას იძახოდა—ქალი დავკარგეო.

ქერიევმა ბეზირგანოვისამ უთხრა სასამართლოს შემდეგი: ანდრეევსკის ქალის ამბავი თუმანოვის ტოლმა შემატყობინა. ანდრეევსკიანთსა წავედი და ორი-სამ დღე დავრჩი (ღამით კი შინ მივდიოდი). მესამე დღეს მრეცხელმა თეთრეული მოიტანა და სკივრში ჩავალაგეო. ამ თეთრეულში ტილოს ნაჭრები ერია, რომელთაც ქალები რიგში ხმარობენო. გამომძიებელს უთხარი, რომ ამ ნაჭრებს რაღაცა ლაქები ეხნდათო; სისხლისაგან იყვნენ ეს ლაქები თუ სხვა რამისაგან—არ გიცია.—წაიკითხეს ამ მოწმის წინაგამოძიებაში ნაამბობი, რომელშიაც ბეზირგანოვის ტოლს უთქვამს თურმე, რომ ეს ლაქები სისხლისაგან იყვნენო. ბეზირგანოვის ტოლმა უთხრა სასამართლოს ტყუილია, მაგისთანა არა მითქვამს რაო.

შემოიყვანეს მრეცხელი ეფემია ზუევისა, რომელმაც თქვა, რომ ხუთის დღის წინ (ე. ი. სიკვდილის წინედ) ანდრეევსკის ქალი რიგში იდგაო. სიკვდილის შემდეგ რომ სარეცხი გაუგზავნეო, ნამდვილად ის სარეცხი იყოვო, რომელიც ხუთი დღის წინედ მომცეს გასარეცხადაო და რომელიც სისხლით იყო მოსვრილიო.

ბესარიონ ლოლობერიძემ უჩვენა შემდეგი: ანდრეევსკის ქალის დაკარგვის შემდეგ, მეორე დღეს ქუთაისში დეპეშა მომივიდაო, რომელიც მაშინვე ანჩაბაძეს წაუღე და უჩვენეო, შემდეგ შერვაშიძესთან წავედითო, გაკვლევიძეთო და დეპეშა წაუკითხეთო. დეპეშაში დავით ხოტუა იწერებოდაო, რომ ნინო ძალიან ავათ არისო და შერვაშიძე უსათუოდ უნდა ჩამოვიდესო. შერვაშიძემ თქვა, რომ წავიდოდიო, მაგრამ ბეტერბურღში წასვლას დამიშლისო. შემდეგ უთხრა ანჩაბაძესო: „თუ შენ წასვალ მეც წავალო.“ ამაზედ ანჩაბაძემ უპასუხა: «ჩემი წასვლა საჭირო არ არისო, მაგრამ თუ გინდა წავალო.» ჩემის აზრით დავით ხოტუამ იმიტომ გამოგზავნა დეპეშა ჩემ სახელზედაო, რომ შერვაშიძე ნამდვილად ქუთაისში არ ეგულებოდაო; ერთსა და იმავე დროს დიდაშვილებსაც მოუვიდათო იმგვარივე დეპეშა ხოტუასაგანაო.—ანდრეევსკიანი მხოლოდ ბოლოს დროს გავიცანიო, როდესაც ანჩაბაძემ შუაკაცათ ამორჩიაო მამულის გაყოფაში. აი მხოლოდ ამ დროს გავიცანიო ბიჭვულად ანდრეევსკის ქალი.—სანქმე რომ გათავდა (მამულის გაყოფისა) ნინომ უთხრა შერვაშიძეს: «გიორგი, შენ მგონია ტყე გერჩივნა; თუ გინდა წილს გაგიცვლი.» შერვაშიძემ უპასუხა: „არა სულ ერთია.“—დავით ხოტუას სასიათზედ ბესარიონ ლოლობერიძემ თქვა შემდეგი: „დავით ხოტუას ვიცნობ, მაგრამ რა სასიათისა არის ნამდვილად ვერას ვიტყვი. მე იმისთანა არაკეთილი სანქმე არა მქონია, რომ შემეტყო თვალის მოუკრავ თუ

*) „ივერია“ № 14, 1878 წ.

არა. იგი არავითარ მძიმე საქმეში არ მინახავს. ჩვენ ჩვეულებრივ გლეხურ კაბდით საქმენიერო და საზოგადოებრივ საქმეზედ.“

დავით ჩხოტუას ჭკითხეს ანდრეევსკის ქალმა სულხანოვი რად აირჩია მოურავადო? ამაზედ ჩხოტუამ უპასუხა, რომ ანდრეევსკის ქალმა ჯერ მე მითხოვა მაგრამ რადგანაც შერვაშიძეს მოურავად ვიუკვიო და ვერ მოვიცლიდიო, უარი უთხარიო.

მოწამემ სტეფან ავთანდილოვმა თქვა, რომ ანდრეევსკის ქალი თამამი, მხიარული, გოხება გახსნილი და ჭკვიანი იყოო. ოდესაში კი ბანაობდა, მაგრამ ტფილისში უკვირდა, რომ ამისთანა ტალახიან წყალში როგორ ბანაობენო. ანდრეევსკის ცოლს ჩემთვის არავითარი მოსაზრება ნინოს დაკარგვის შესახებ არ უთქვამსო; მხოლოდ იმას ამბობდა, რომ ნინო დამეკარგაო.

მოწამემ გაბრიელ სულხანოვმა უამბო სასამართლოს შემდეგი: „იმ ღამეს სოფელში ვიყავი, ტფილისის ახლო. მამაჩემისაგან მომივიდა ნინოს ამბავი; მაშინვე ქალაქს ჩამოვედ და ანდრეევსკიანთსა წავედი. იქ დამხვდა გამოძიებელი კობიევი. მინდოდა მენახა ის ადგილი, სადაც ნინო ბანაობდა. გზაში ვიღაც შემხვდა და მითხრა, რომ ანდრეევსკის ქალი იქ ვერ იბანაებდაო, რადგანაც ძალიან ძნელი ჩასასვლელი ადგილიაო. მართლა და ვერ იბანაებდა მეთქი, რადგანაც ნინოს ყოველთვის უკვირდა მტკვარში როგორ ბანაობენო. მთელი დღე დავრჩი ანდრეევსკიანთსა. იმ დღესვე მოვიდა პოლიცია, ბევრი ეძებეს ბაღში, სახლში, მაგრამ ვერა იპოვეს რა. ჩხოტუებიც გავიცან. სადამოზედ დავრჩი. იმ სადამოსვე ჩამოვიდა შერვაშიძე თუ არა, აღარ მახსოვს. ვიცი კი რომ თუმანოვის ცოლი და სულხანოვი მის მისაგებებლად წავიდნენ. შერვაშიძე და ანჩაბაძე ერთად მოვიდნენ. ანდრეევსკის ცოლს იმ დროს ეძინა და მათთან არ ულაპარაკია. შერვაშიძემ ცალკე რაღაცა უთხრა დავით ჩხოტუას და შემდეგ ერთად წავიდნენ ლონდონის სასტუმროში. მესამე დღეს ვიღაებიც მოვიდნენ და თქვეს, რომ ანდრეევსკის ქალის გვამი ვიპოვეთო. მე გამგზავნეს მომრიგებელ სასამართლოში—უნდა შემეტყობინებინა გამოძიებელისათვის, პოლიტმეისტრის მეორე-ბეგლაროვისათვის და მომრიგებელ მოსამართლის წინამძღვაროვისათვის. ამაკვე დღეს წავედით გვამის გასაშინაურებლად.“ „შემდეგ მკვდარი ანდრეევსკის ქალი მოიტანეს სასაფლაოზეო, სადაც იუნენ შერვაშიძე და დავით ჩხოტუა. შერვაშიძეს ჭკითხეს—ჭსცნობ თუ არა ანდრეევსკის ქალსა? ვცნობო, უპასუხა შერვაშიძემ. მე კი მაშინვე ვიცან.“—„ნინოს დაკარგვის შესახებ სხვა და სხვა რასმეს ლაპარაკობდნენ: ზოგი ამბობდა—დაეხჩეს, წაიუვანესო; ზოგი—იქნება თვითონ წაჭეა ვისმესაო. თვითონ ანდრეევსკის ცოლი ამბობდა—იქმნება ნინო ბანაობდაო და თვითონ დაიხჩოვო.“ „მტკვრისკენ ძალიან ძნელი ჩასასვლელი თაკდაღმართია და ძნელი საფიქრებელია, რომ საბანებლად ჩასულიყო. ჩვენ ძალიან ჩაგდიოდით ერთიერთმანეთის დახმარებით. ამბობენ, რომ მოსამსახურენი იმ თაკდაღმართზედ ზიდავდნენ წყალსა.“ პირველ დღეს ძაღლები არ მინახავსო, შემდეგ კი ვნახეო პატარა ძაღლები, როდესაც მე და ნიკ. ჩხოტუა წყლისთვის ჩაგდიოდითო ვედროთი.

(შემდეგი იქმნება.)

სიხლის მოჩვენებაზედ.

(შემდეგი *).

IV

1860 წ. თიბათვის 15-სა გარიჩიდამ დილიჟანსი მოვიდა ჩვენის ბაზრის მოედანზედ კულავანდელზედ ერთის საათით გვიან და დადგა სასტუმროს წინ, რომელსაც „კალის კოროლი“ ერქვა სახელად. კუჩერმა მიაყარა ცხენებს ზურგზედ სადავე, გადმოვიდა თავის მაღალ ტახტიდამ, რომ დილიჟანსში მსხდომთ კარები გაეღოს. იმ დღემდე დილიჟანს არასოდეს არ დაუგვიანია, ამ მიზეზით იქაურნი მცხოვრებნი დიდის ცნობის-მოყვარეობით გარს შემოეხვივნენ მოსულებსა.

— ეი შენ, ძილის გუდავ! (ასე ეძახდნენ ჩვენში კუჩერსა)—შეჰსძახა სასტუმროს მეჯინიბემ და დაუწყო ცხენებს გამოშვება: კარგა ხანი დაჰყავ შენ გზაზედ? ჰსჩანს ყოველ დუქანში შენი მოსაწონი არაყი დაგხვედრია.

— ეგ შენი ენა ჭარტალობა სხვა დროსათვის შეინახე—მიუგო კუჩერმა: აქ სხვა ამბავი იყო: აიმ სასტუმროში „ცისფერს მამალს“ რომ

*) «ივერიაში» № № 14, 15, 1878 წ.

ეძახიან, ცხენები გამოვუშვი, მოვაჭამო რამ მეთქი. იქ სამზვარეულოს ტახტზედ ლოორეტა ვნახეთ ყელში დანა ჩაცემული; ისე რაღა, აქედამ დაესვა და იქით გაეხედებინა...მოდი და ნუ დაიგვიანებდი! .. ამისთანა ამბები ყოველ დღე ხომ არ შეგხვდება გზაზედ!

ხალხი შეძრწუნდა ამ საშინელის ამბის გამო და როცა თვით იმ სასტუმროს პატრონი, მთლად გაფითრებული და ათრთოლებული გადმოვიდა დილიჟანსიდამ, ხალხი მიჰსცვივდა და დაუწყეს იმ საშინელის ამბის გამოკითხვა. ხალხმა მხოლოდ მაშინ დაანება თავი, როცა იგი მივიდა გამოძიებელის კარებთან, რადგანაც ჩვენება უნდა ჩამოერთმიათ.

გაგზავნეს ყოველგან მრავალნი მძებნელნი. ბევრი ქაღალდი მოსვარეს მელნითა, თითქმის ერთი წელიწადი გააჭიანურეს გამოძიება, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ვერ იპოვეს, ვერა დამნაშავე.

საწყალი ლიუროტა! თუნდა დამიჯერეთ, თუნდ ნუ და მეკი ბევრჯერ, ბევრჯერ დამილერია მისთვის ცრემლი, ბევრჯერ მიტირნია. მეტად კარგი რამ იყო! რა რიგი მარილიანი, რა რიგი მიმღები ქალი იყო და ამასთანაც მეტად გულმოდგინე და მშრომელი მოსამსახურე!.. მე გარიჩში გამგზავნა ჩვენმა ნოტარიუსმა და იქიდამ 14 თებათვის ღამეს შინ მოვდიოდი. თერთმეტი საათი იქმნებოდა, რომ „ცის-ფერის მამლის“ სასტუმროსთან მოვედი. ისე ბნელოდა რომ თვალში თითი გეტაკებინათ ვერას დავინახავდი. ფანჯრების დარაბებ შუა სანთლის შუქი გამოკრთოდა ეს მე გამიკვირდა, იმიტომ-რომ „ცის-ფერის მამლის“ სასტუმროში ამ დროს ხოლმე ყველას ღრმა ძილით ეძინა. მე ლიუროტა მომაგონდა და ეს მოგონება მესიამოვნა, მიამა! ვჰსთქვი ჩემ თავად: უსათუოდ ლიუროტას არა ჰსძინავს ჯერ; იქნება ვისმეს სასტუმროში დაჰგვიანებია და იმის წასვლას უცდის... მოდი ერთი შევალ მეთქი! ერთი ჭიქა პივის დალევა დიდხანს არ გაჰსწევს; ერთხელ რომ მე ვაკოცო და ერთხელაც იმან—არც ამაში გავა ბევრი დრო მეთქი.»

კარები ნახევრობამდინ ღია იყო. მე შევედი

რასაკვირველია, საჭირო არ არის მოგაგონოთ, რომ ქუჩისაკენ მარტო სამზვარეულო და პურის საჭმელი ოთახი იყო. სხვა ოთახები კი ეზოსაკენ იყვნენ. უეჭველია, თქვენ მორთმეული გექმნებათ ფოტოგრაფიით გადმოღებული სურათი იმ სახლისა. სწორედ მოგახსენოთ, ეს ფოტოგრაფია კარგი რამ მოუგონიათ!

ბუხრის ახლო ლიუროტას თავი მიედო სტოლზედ და ისე ეძინა. დამკლავებული ხელები ისე ჯვარედინად ჰქონდა გულზედ დაკრეფილი, თითქოს ლოცულობსო. შიშველი ყელი ლამაზად გადეგდო და ხშირი თმები საამოდ გადმოჰფენოდა მხრებზედ. სტოლი ხის ბოძთან იდგა, ბოძზედ ეკიდა სანათური, რომელიც მკრთალად ანათებდა. ლონე მიხდილი ალი თითქმის მარტო იმას ცდილობსო, რომ რაც შეიძლება მეტის სინათლით მოერთოს მშვენიერი მოყვანილობა მძინარის ქალისა და სხვა ნივთებს კი, მაგალითებრ, ჭურჭელს, ქვაბებს ისე გაჭკრავდა ხოლმე ნათელს, თითქო არ კადრულობსო. ბუხარში ხრიალებდა, თითქო ღველფში იხვჩვებაო, ერთი მილეული მუგუზალი, რომელიც ხან დაზმობით ალს ააპრიალებდა, რომ დიდი უცნაური ჩრდილი აათამაშოს ან ჭერის ფიცარზედ, ან კედელზედა.

ლიუროტა მარტო იყო. მე მივედი ახლო ბუხართან, ზურგი შევაქციე ბუხარს და აღტაცებით დაუწყე ყურება იმ საბრალოს და მშვენიერს არსებას, რომელსაც ჩემ წინ ეძინა. ოთახის მყუდროებას ძლივ-ძლივ ახმაურებდა მალმალი და ნელი ფშვინვა ქალისა და საათის ერთნაირი კაკუნი.

V

იმ წუთს რაც მოხდა ჩემს ტვინში ისეთი საოცარია, რომ ღმერთმანი არც კი ვიცი როგორ აგიხსნათ. იმისათვის, რომ ჩემი რამ გაიგოთ როგორც რიგია, თქვენც ისე ჭკუიდამ შეშლილები უნდა შეიქმნეთ ამ ხანად, როგორც მაშინ მე ვიყავი...

დავყურებდი იმ ლამაზს ქალს, რომელსაც ორის ნაბიჯის გადადგმაზედ ჩემ წინ ისე ტკბილად და მშვიდობიანად ეძინა, ვიცოდი რომ ჩემ გარდა სხვა არავინ არის ოთახში და ყველაზედ უწინარეს ფიქრად იმისი კოცნა მომივიდა. მე დავიხარე კიდეც, რომ ტუჩით მივკარებოდი ძის სპეტაკს ყელს,

რომელიც მისს პატრონს თითქო ჩემს ნებაზედ მოეგდო. მაგრამ შუა გზაზედ შევდექი და ვჰსთქვი: ამ გვარად კოცნას რა ლაზათი აქვს! ჯერ უნდა გავალვიძო, მეთქი. აქ ხელახლად დავუწყე ცქერა მის სამაცდუროს ყელს...

და ჩემი ტვინი აინთო... ჩემმა გონების თვალმა ფრთა აისხა.

მე მომეჩვენა, ვითომც ლიუროტას ყელზედ ორი ტუჩია, მღიმარი და ისე ლამაზად აკრეფილი, თითქო საკოცნელად ვისმეს იწვევენო. „ეგ არ შეიძლება, არა!“ ვუთხარი ჩემს თავს და ხელახლად დავიხარე საკოცნელად. მაგრამ რაც მაშინ თვალწინ წამომიდგა, მან მთლად ცივი ოფლი დამასხა და თვითონ თქვენც რომ ეგ საქმე დაგმართოდათ, თვალთ დაგიბნელდებოდათ ყელზედ გამოსახული ტუჩები ნახევრობამდი ღია იყვნენ. თეთრის კბილების მაგიერ მომელანდა სისხლი, თითქო დაჭრილობიდამ დაიწყო გამოქონაო. მერე იმ დაჭრილობის ორივე მხრიდამ წამოვიდა ორ ტოტად ძაფის სიმსხო სისხლის ნაკადული, მალე დადგა სტოლის სუფრაზედ სისხლის გუბე, და ამ წითელ ადგილზედ გამოკრთოდა თეთრი პირის სახე ლიუროტასი. მე შიშით თავზარი დამეცა. დაჭრილობა ღიმილით შემომცინოდა; იგი კოცნას მიგზავნიდა.

აი ნახეთ, რომ ჩემი ბედის-წერა ავაზაკობა ყოფილა! სწორედ იმ წამს მე თვალი მოვკარ სტოლზედ, იმ უბედურის ახლო სამზვარეულო დანას, ისეთს გძელს, მჭრელს და ახლად გალესილ-სა....ფიცი შემიძლიან, ფიცი, რომ როცა მე შევედი ოთახში, მაშინ ის დანა იქ არ ყოფილა!.. სანათური, ბოძზედ მიკრული, განსაკუთრებულის სხივით ანათებდა ამ დანის პირს და თითქო საკუთრივ იმისთვის ანათებდა, რომ მე წავეტყუებინე.... მე გამოქცევა მოვინდომე—მაგრამ მუხლი არ მომყვა. მე თვალები დავხუჭე, მაგრამ ამით ის საზარელი მოჩვენება ვერ მოვიშორე და ისევ ისე მელანდებოდა, როგორც წინათვე. თქვენ ნუ გიკვირთ: რასაც მაშინ ვხედავდი, თვალწინ ხომ არ მედგა, ჩემს შიგნით იყო, ჩემს შიგნით.

დანას ხელი ისე წავავლე, რომ წინად განზრახული არა მქონდა რა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რომ იმ საბრალო ქალისათვის მე ბოროტი არ მინდოდა, მაგრამ ხელი კი შევმართე: იმ წამს ბრწყინვალე სხივმა გაანათა მღიმარი წყლული, რომელიც მაინც კოცნას მიგზავნიდა... მე დანა დავეცი. რისთვის? აბა ვინ იცის რისთვის? უბედურის ყელიდამ ალმოხდა ერთი საშინელი ხრიალი, რომელიც ყოველ ღამე დღევანდლამდე მომესმის ხოლმე. საწყალმა ხელები დაჭიმა და რადგანაც მე მეშინოდა რომ არ წამომდგარიყო, რაც ძალი და ღონე მქონდა დანას დავაწექ, რომ ღრმად ჩასულიყო. იმ დროს რომ ლიუროტა წამომდგარიყო, მე შიშით იქვე სულს დავლევდი. იგი ერთხელ კიდევ შეთრთოლდა სულის დალევაზედ და მას მერმედ აღარ განძრეულა.

მაშინ კი გამოქცევა დავაპირე. ვგონებ ადვილია ყველგან კარის პოვნა, წამეტნავად მაშინ, როცა კარები თქვენგან ორ ნაბიჯზეა, როცა თქვენ ცხადად თვალწინ ხედავთ; ვგონებ ადვილია მისი გაღება და იმ ოთახიდამ გამოსვლა, რომელიც თქვენ შიშის ზარსა გცემთ. ხომ ადვილია, მაგრამ მე კი ისე ვბარბაცებდი, ისე ამივარდა სისხლი თვალებში, ისე მიცემდა საფეთქლებში, რომ მე დიდ ხანს ვეფაცურე ხელები და ბოლოს როგორც იყო ხელი მოვარტყი კარის სახელურსა. შევეხე თუ არა ცივს რკინას, საშინლათ შევკრთი. მე მეგონა რომ დანის პირი დაესო ჩემს ხელის-გულს და მთელს ჩემს ტანს ასო-ასოდ ჰსჭრის.

გარედ, ჰაერზედ კი რომ გამოვედი მალე მოვედი გონს. ერთს საათს შემდეგ ისე მოვედი შინ, რომ ერთი სულიერიც არ შემხვედრია გზაზედ, შევედი ჩემს ოთახში და კარი კლიტით ჩავიკეტე. იმ ღამეს მე აღარ მივსულვარ, ფანჯარასთან, რომ გამეგო რას აკეთებენ საკლავების სახოცს ეზოში...

ეკ. ღვინიაშვილისა.

(შემდეგი იქმნება.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Апрѣля 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.